## *ხელშეკრულება №208*
## *სახელმწიფო შესყიდვის შესახებ*

*ქ. თბილისი* *24 ნოემბერი 2017 წელი*

ერთის მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (შემდგომში–შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მაია მიმინოშვილის სახით და, მეორეს მხრივ, შპს „ჯობს.გე“ (შემდგომში–მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის ალექსანდრე ხუზულავას სახით, ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

### 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანია სსიპ – შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის სახსრებით, 1 ვაკანსიის განცხადების **jobs.GE** ვებ-გვერდზე განთავსების მომსახურება, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად.

### *2. შესყიდვის ობიექტი*

2.1. შესყიდვის ობიექტია 1 ვაკანსიის განცხადების განთავსება (CPV 79600000) მიმწოდებლის ვებ-გვერდზე **jobs.GE**.

### *3. ხელშეკრულების ღირებულება*

3.1. შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს ***30 (ოცდაათი)*** ლარს, დღგ-ს ჩათვლით.

### *4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები*

4.1. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადაა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 2017 წლის 08 დეკემბრის ჩათვლით.
4.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენა შემსყიდველისათვის (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

### *5. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები) და ადგილი*

5.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.2. შემსყიდველი ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის გადახდას განახორციელებს **საკუთარი სახსრებით.**
5.3. ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება შესყიდვის ობიექტის მიწოდების შემდეგ, გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის და წინამდებარე ხელშეკრულების 4.2. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის წარმოდგენის შემდეგ, არაუგვიანეს 10 სამუშაო დღისა.
5.4. შემსყიდველი ანაზღაურებას ახორციელებს მიმწოდებლის ანგარიშზე თანხის გადარიცხვით

### *6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

6.1. შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, რომელიც დადასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერებით.

### *7. შესყიდვის ობიექტის ხარისხი და გარანტია*

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
7.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

### *8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი*

8.1. შემსყიდველი და მიმწოდებელი მოქმედებენ საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით.
8.2. შემსყიდველი ვალდებულია:
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებისას საქმის კურსში ჩააყენოს მიმწოდებელი ყველა განსაკუთრებული გარემოების შესახებ;
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად, დროულად და სრულად აუნაზღაუროს მიმწოდებელს შესყიდვის ობიექტის ღირებულება.

8.3. შემსყიდველს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს მიმწოდებელს წინამდებარე ხელშეკრულების პირობების სრულად და განუხრელად დაცვა.
- განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების დაცვაზე.
- შეამოწმოს შესყიდვის ობიექტის ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან.

8.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
- სრულად და ჯეროვნად დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები;

8.5. მიმწოდებელს უფლება აქვს:
- მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული შესყიდვის ობიექტის ღირებულების სრულად და დროულად ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

### *9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა*

9.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ ხელმოწერის შემდგომ და მოქმედებს 2018 წლის 09 იანვრამდე, მხარეების მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებამდე.

### *10. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას*

10.1. მხარეების მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა გამოიწვევს პასუხისმგებლობას ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, გარდა ფორს-მაჟორული სიტუაციებისა.
10.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველ დაგვიანებულ დღეზე ხელშეკრულების პირობების დამრღვევ მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ფასის 0.02 %-ის ოდენობით.
10.3. იმ შემთხვევაში თუ დაკისრებულ პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 0.2%-ს, მეორე მხარეს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება. პირგასამტეხლოს გადახდა მოხდება მეორე მხარის მიერ წერილობითი მოთხოვნიდან არაუგვიანეს 10 დღის განმავლობაში.
10.4. საჯარიმო სანქციები არ ათავისუფლებს მხარეებს ვალდებულებების შესრულებისაგან.

### *11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა*

11.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
11.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

### *12. ფორს-მაჟორი*

12.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
12.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.
12.3. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ ცალმხრივად შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

### *13. დავები და მათი გადაწყვეტის წესი*

13.1. წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
13.2. თუ შემსყიდველი და მიმწოდებელი მოლაპარაკებების დაწყებიდან 30 (ოცდაათი) დღის განმავლობაში ვერ შეძლებენ შეთანხმების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

### *14. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები*

14.1. ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით სათანადო კონტროლს და ზედამხედველობას, მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებას შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს – სალომე ვაჩნაძე (ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის შერჩევისა და შეფასების სპეციალისტი).
14.2. შემოწმების შედეგად გამოვლენილი ნებისმიერი ნაკლის ან დეფექტის შესახებ შემსყიდველი წერილობით აცნობებს მიმწოდებელს წუნდების მიზეზების მითითებით.
14.3. გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრასთან და ხელახალ ინსპექტირებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს.

### *15. ინტერესთა კონფლიქტი*

15.1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ ამ კანონის მოთხოვნას და არ იმყოფებიან ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

### *16. სხვა პირობები*

16.1. ამ ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი პირობები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით.
16.2. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
16.3. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
16.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან და ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

### *17. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები*

**შემსყიდველი:**

სსიპ – შეფასებისა და
გამოცდების ეროვნული ცენტრი
ქ.თბილისი, მინდელის ქ. №9
ს/კ 202198727
სახელმწიფო ხაზინა
ხაზინის ერთიანი ანგარიში
TRESGE22
ა/ა 707627112

დირექტორი
მაია მიმინოშვილი

**მიმწოდებელი:**

შპს "ჯობს.გე"
ქ .თბილისი, ატენის ქ. №20 ბ. 31
ს/კ 205035282
ს.ს. „თიბისი ბანკი"
ბ/კ TBCBGE22
ა/ა GE23TB0600000107467123

დირექტორი:
ალექსანდრე ხუბულავა